



## პროგრამის განახლება ინტერნეტით

კომპანია “ორისთან”, პროგრამის შექმნის თაობაზე დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, რომ მომხმარებელს პროგრამის უფასო განახლება ეკუთვნის შექმნიდან ერთი წლის განმავლობაში. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კერძოდ როდემდე გეკუთვნით პროგრამის უფასო განახლება შეგიძლიათ ნახოთ პროგრამაში. ამისათვის, ძირითადი მენიუდან “Help”, უნდა აირჩიოთ ქვემენიუ “სისტემის შესახებ”:




იხილავთ ეკრანს:




სადაც, ეკრანის ქვედა ნაწილში წითელი ფერის ასოებით წერია, რომელ თარიღამდე გეკუთვნით პროგრამის უფასო განახლება.

პროგრამის “ორის-ბუღალტერია” განახლების ფაილების გადმოწერა შესაძლებელია შპს “ორისი” - ს ვებ გვერდიდან - [www.oris.ge](http://www.oris.ge). ამ გვერდის გამოძახებას შესძლებთ პირდაპირ პროგრამიდან თუ მთავარი მენიუდან “Help” აირჩევთ ქვემენიუს “ვებ გვერდი”:




ეკრანზე იხილავთ შპს “ორის” - ის ვებ გვერდს:



როგორც ეკრანზე ხედავთ ვებ გვერდი არის ინგლისური ინტერფეისით. დააჭირეთ ზედა მარჯვენა კუთხეში მდებარე ლილვს - **ქართული**, რათა გადახვიდეთ ქართულ ინტერფეისზე:



ორის ბუღალტერიის ახალი ვერსიის ფაილების გადმოსაწერად დააჭირეთ “თავი” - ს მარცხენა ლილვით ველზე - **“გადმოწერეთ თქვენს ბუღალტერიის ბოლო ვერსიას”** ან ეკრანის მარცხენა მხარეს მოცემულ სარჩევში აირჩიეთ **“გადმოწერა”**. ეკრანზე იხილავთ:



ორის ბუღალტერიის ლიცენზირებული ვერსიის გადმოსაწერად აირჩიეთ - **“ორის ბუღალტერიის განახლება”**. ეკრანზე იხილავთ:




როგორც ხედავთ, სვეტში **“აღწერა”** ნაჩვენებია “ორის ბუღალტერიის” ბოლო ვერსიის ნომერი და მისი გამოშვების თარიღი.

**! გაითვალისწინეთ ის, რომ იმ შემთხვევაში თუ თქვენ არ გეკუთვნით “ორის ბუღალტერიის” ახალი ვერსია, განახლების ფაილების დაინსტალირების შემდეგ თქვენ ვეღარ შესძლებთ სისტემაში შესვლას.**

იმისათვის, რომ ნახოთ თუ რა სიახლეებია ახალ ვერსიაში გადმოიწერეთ სიახლეების ფაილი. ამას შესძლებთ თუ აირჩევთ ველს **“სიახლე ვერსიაში”**.

როგორც ხედავთ აქვე მოცემულია რვა დისკი, რომლებიც რეგისტრაციის უნდა გადმოიწეროთ თქვენს კომპიუტერზე, რომელიმე ერთ საქალაქო დისკში. განახლების ფაილების გადმოსაწერად დააჭირეთ

“თავი” - ს მარცხენა ლილავს “დისკი 1” - ზე. იხილავთ ეკრანს:




აღნიშნულ ეკრანში დააჭირეთ ლილავს - **Save**, რათა დაიმასხოვროთ ეს ფაილები თქვენს კომპიუტერზე. იხილავთ ეკრანს:



გამოსულ ეკრანში მიუთითეთ გზა თუ სად უნდა დაიმასხოვროთ “ორის ბულალტერის” განახლების ფაილები. ველში “Save in” ლილავის - **დ**ახმარებით აირჩიეთ **C** დისკი და შექმენით ახალი საქალაღე მაგალითად, “OrisUpgrade”. მონიშნეთ იგი და დააჭირეთ ლილავს “Open”, შემდეგ კი “Save” - ს. ნახავთ, რომ დაინყება თქვენს მიერ არჩეული ფაილის “OrisUpgrade” საქალაღეში გადმონერა.

რვავე დისკის გადმონერის შემდეგ გახსენით “OrisUpgrade” საქალაღე. იხილავთ ეკრანს:



**! სისტემის განახლების პროცესში პროგრამა “ორის ბულალტერია”**

**დახურული უნდა იყოს. იმ შემთხვევაში თუ გაქვთ სისტემის ქსელური ვერსია, პროგრამა უნდა დახუროთ როგორც სერვერზე, ასევე ყველა მუშა კომპიუტერზე.**

სისტემის ახალი ვერსიის დასაინსტოლირებლად გაუშვით **ORIS\_UPGRADE.EXE** ფაილი და განაგრძეთ სისტემის ინსტოლაციის პროცესი ისე, როგორც ეს აღნერილია თავში “**პროგრამის ინსტოლაცია**”.

გაითვალისწინეთ, რომ თუ თქვენ გაქვთ პროგრამის ქსელური ლიცენზია, პროგრამის განახლება უნდა მოახდინოთ ქსელში მომუშავე ყველა კომპიუტერზე ცალ-ცალკე.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში თუ გასურთ სისტემის ახალი ვერსიის დაინსტოლირება ისეთ კომპიუტერზე სადაც აქამდე არ გქონდათ დაინსტოლირებული სისტემა, მაშინ ინტერნეტიდან გადმონერილი განახლების ფაილები თქვენ არ გამოგადგებათ, რადგან ეს არის სისტემის განახლების და არა საინსტოლაციო ფაილები.

ასეთ შემთხვევაში თქვენ უნდა დააინსტოლიროთ სისტემა “ორის ბულალტერია” საინსტოლაციო დისკიდან და მხოლოდ ამის შემდეგ დააინსტოლიროთ ინტერნეტიდან გადმონერილი განახლების ფაილები.

იმ შემთხვევაში თუ თქვენ დაგიზიანდათ ან დაგეკარგათ “ორის ბულალტერის” საინსტოლაციო დისკი დაუკავშირდით შპს “ორის”.